



დიდი მოგზაურობა ენის სამყაროში

უკვე ტრადიციად დამკვიდრდა, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მართავენ ინგლისური ენის საღამოს.

მორიგი ასეთი საღამო გაიმართა 1 ივლისს. მისი ორგანიზატორი გახლდათ სოხუმის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ინგლისური ენის მასწავლებელი, ქალბატონი ლიანა არჩვაძე.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის I და IV კურსის სტუდენტები: სოფიკო კაშუაშვილი, მარინა პორტიანკოვა, თამარ თედემვილი, თეონა ბალახაშვილი, ბესარიონ დევაძე, თათია ზუბაშვილი, ლალი ნოდია, სოფიკო პატიეშვილი, ხატია ალოშაშვილი, გულიკო გაშიტაშვილი, მარიამ აბულაძე, თინათინ ვარლამიშვილი, ნოდარ ჟვანია, თეონა სადაღაშვილი, მარიკა ქარჩავა, მარიამ წაწალაშვილი, ნიკოლოზ ჭანკვეტაძე, თამარ ჯვარშიეშვილი, მარიამ ნებიერიძე, ეკა ლევიშვილი.

სტუდენტებმა თავიანთი სპეციალობებიდან გამომდინარე, წარმოადგინეს დიასკუსია თემაზე: “ინგლისური ენა და კულტურა სხვადასხვა ქვეყნებში”, სადაც ისაუბრეს ადამიანზე, როგორც სოციალურ ფენომენზე, მის უმაღლეს ფასეულობებსა და ღირებულებებზე, მორალურ და ეთიკურ ჩვევებზე, ენის როლსა და ფუნქციაზე ამ ფასეულობებისა და კულტურული ტრადიციების წარმოჩენისას.

სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის გამოიცა ერთჯერადი ინგლისურენოვანი გაზეთი - “თჰე ბიგ ლანგუაჯე ტოურ”

სტუდენტებმა მუსიკალური ფონის თანხლებით შეასრულეს ცნობილი ინგლისურენოვანი ჰიტები ჯგუფ “ბითლზის”, უიტნი ჰიუსტონის, სელინ დიონის და სხვათა რეპერტუარიდან.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი ელგუჯა ქავთარაძე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი დავით ჯალაღონია, სსუ-ს სრული პროფესორი, ქალბატონი ემა კილანავა და სხვები.

დასასრულ, ქალბატონმა ემა კილანავამ შეაჯამა რა ღონისძიება, მადლობა გადაუხადა მის ორგანიზატორსა და მონაწილე სტუდენტებს, იმ დიდი ძალისხმევისა და პასუხისმგებლობისათვის, რომლითაც ისინი მოეკიდნენ წამოწყებულ საქმეს და იმ ლამაზი წარმოდგენისთვის, რომელმაც დამსწრე საზოგადოება სიამოვნებით ამოგზაურა ინგლისური ენის უმდიდრეს სამყაროში.